საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 102

2017 წლის 13 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

„ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №63 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამ ატებები „ბსუ–ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის N43 დადგენილებაში, კერძოდ, დანართის:

ა) 23-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 23[1]-ე ქვეპუნქტი:

,,23[1]. ამ წესის 21-ე პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება ბსუ-ს ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეულ ბსუ-ს პერსონალზე."

ბ) 26-ე პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დამატებით სპეციალობაზე/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე არანაკლებ 15 სტუდენტით, გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამების დამატებით/არჩევითი სპეციალობებისა, რომელზეც კონკრეტული საჭიროების დასაბუთებით, გამონაკლისი დაშვებული იქნება აკადემიური საბჭოს დადგენილებით."

2. ცვლილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**